

ON
THE
MOVE

კულტურული მობილობის ნაკადები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
ხელოვნებისა და კულტურის
პროფესიონალების სართაშორისო მობილობა

ანგარიში და პოლიტიკის რეკომენდაციები



Co-funded by
the European Union

**In
Form**
Platform for Inclusive Minds
ინკლუზიური იდეების პლატფორმა

On the Move საერთაშორისო საინფორმაციო ქსელია, რომელიც ეძღვნება სახელოვნებო და კულტურის მობილობას. ქსელი 27 ქვეყნიდან 72 წევრს აერთიანებს. 2002 წლიდან ის რეგულარულად აწვდის დაინტერესებულ მხარეებს განახლებულ ინფორმაციას მობილობის შესაძლებლობებზე, პირობებსა და დაფინანსებაზე. ასევე, ადვოკატირებას უწევს კულტურათაშორისი მობილობის განვითარებას. ევროკავშირის თანადაფინანსებით მიმდინარე პროექტი, უკვე რამდენიმე წელია ახორცილებს ამბიციურ, მრავალწლიან პროგრამას, რომელიც ადგილობრივ, რეგიონალურ, ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებში აშენებს შესაძლებლობებს კულტურული ეკოსისტემის მდგრადი განვითარებისთვის.

On the Move რეგულარულად იკვლევს ქსელის აქტივობებთან დაკავშირებულ თემებს, ასევე წევრების მიერ განხორცილებულ აქტივობებს. საერთო პრობლემებსა და სახელოვნებო და კულტურული მობილობის საკვანძო არეალებზე რეფლექსიით, ქსელი ცდილობს ჩამოაყალიბოს უფრო ნათელი წარმოდგენა მიმდინარე მოძრაობებისა და ტენდენციების შესახებ პოლიტიკის რეკომენდაციების ფორმულირებისას.

"პუბლიკაცია ევროკომისიის მხარდაჭერითაა გამოცემული, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ის მხარს უჭერს პუბლიკაციაში მოცემულ შინაარსს, რაც მხოლოდ ავტორების მოსაზრებებს ასახავს და კომისია არ შეიძლება იყოს პასხუსმგებელი პუბლიკაციაში გამოყენებული ინფორმაციის შემდგომ გამოყენებაზე."

შესავალი

ეს გამოცემა ეფუძნება On the Move-ის კულტურული მობილობის ვებსემინარს თემაზე „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანების და კულტურის პროფესიონალების საერთაშორისო მობილობა“ და ეყრდნობა ორი მასშტაბური კვლევის შედეგებს, რომლებიც ჩატარდა British Council-ისთვის, ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის, Europe Beyond Access-ის ფარგლებში, სახელწოდებით Time to Act: How lack of knowledge in the cultural sector creates barriers for disabled artists and audiences (2021) და Time to Act: Two Years On, Data-led Insights on Performing Arts and Disability in Europe (2023). გამოცემა ასევე ეყრდნობა On the Move-ის წევრების მიერ განხორციელებულ უახლეს ონლაინ და პირად ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანების და ხელოვნების მუშაკების სხვადასხვა სპეციფიური პირობებისა და საჭიროებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

დღეს არსებობს საკმაოდ მოცულობითი ლიტერატურა, მათ შორის ანგარიშები, შემთხვევათა შესწავლა, და სამუშაო ინსტრუმენტები, რომლებიც ეხმარება კულტურის პროფესიონალებს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში – მაგრამ ეს მასალები ფართოდ არ არის გავრცელებული, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ხშირად ერთი ქვეყნის კონტექსტზეა ორიენტირებული ან მხოლოდ ერთ ენაზეა ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, ისინი ძირითადად ყურადღებას აქცევენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აუდიტორიისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდას, მაგრამ იშვიათად ეხებიან საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კულტურის პროფესიონალებისთვის მისაწვდომობის გაზრდას.

გასაკვირი არ არის, რომ ჯერ კიდევ პრობლემად რჩება შშმ ხელოვანებისა და კულტურის პროფესიონალების საერთაშორისო მობილობის მხარდასაჭერად შემუშავებული სახელომძღვანელოებისა და ტრენინგების შემუშავება. ჯერ კიდევ არ არსებობს თანაბარი წვდომა საერთაშორისო მობილობაზე და მობილობის შედეგად შექმნილ უთვალავ შესაძლებლობებზე, როგორცაა კვლევა, შექმნა, სწავლა თუ კავშირების დამყარება. კულტურის სფეროში კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას, რათა ხელოვნების სხვადასხვა დარგებში შშმ ხელოვანებს მიეცეთ წვდომა განსვავებულ კონტექსტებში შემოქმედებითი კვლევის განხორციელების, სახელოვნებო პროდუქციის შექმნა მაკრო-რეგიონულ, ევროპულ თუ საერთაშორისო დონეზე, ახალი ცოდნისა და უნარების მიღება მათი მშობლიური ქვეყნის გარეთ და საერთაშორისო კოლეგებთან დაკავშირება.

პირველი თავი მოიცავს ანალიზს On the Move-ის ვებსაიტზე 2020 წლის იანვრიდან განთავსებული კულტურული მობილობის შესაძლებლობების ღია კონკურსების შესახებ. აქ ყურადღება გამახვილებულია ერთჯერად ღია კონკურსებზე, ხოლო პერმანენტული პროგრამების შესახებ ინფორმაცია ცალკე თავშია მოცემული, რომელიც მობილობის დაფინანსების სახელმძღვანელო ინფორმაციას ეძღვნება.

მეორე თავი ეფუძნება ვებსემინარების დროს წამყვანი ექსპერტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და დამატებითი ინტერვიუების შედეგებს. მისი მიზანია უკეთ განსაზღვროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანებისა და კულტურის პროფესიონალების წინაშე მდგარი გამოწვევები საერთაშორისო შესაძლებლობებით სარგებლობისას, ასევე, განიხილოს პრაქტიკული გადაწყვეტილებები და ადგილობრივი ინიციატივები.

„მესამე თავი მოიცავს უახლესი ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანების და კულტურის პროფესიონალების პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ფაქტორებს, რომლებმაც შშმ პირებს შეიძლება ხელი შეუშალოს ან გაუადვილოს საერთაშორისო მობილობაში ჩართვა.

საბოლოოდ კი, პუბლიკაცია გასცემს რეკომენდაციას კულტურის სფეროში არსებული ყველა დაინტერესებული მხარისთვის, ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული ინსტიტუციებისთვის. ეს რეკომენდაციები ეფუძნება გაანალიზებულ წყაროებს, მათ შორის პოლიტიკის დოკუმენტებს, კვლევის ანგარიშებს და სხვა მასალებს, რომლებიც დაკავშირებულია იმ გარემოებებთან, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანები და კულტურის პროფესიონალები მუშაობენ. ასევე განხილულია სამუშაო ინსტრუმენტების, პროგრამების და სხვა ინიციატივების მაგალითები, რომლებიც ასახავს განხილულ საკითხებს.“

იოჰან ფლოხი

ოპერაციული დირექტორი

მონაცემთა ანალიზი: შშმ პირთა ინკლუზია ღია კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად

ავტორი: ჯონ ელინგსვორთი

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს კულტურის სფეროში, 2020 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 მაისის მონაკვეთში გამოცხადებული ღია კონკურსების ანალიზს, რომელიც On the Move-ის ვებგვერდზე გამოცხადდა. ვებ გვერდის პოლიტიკა გულისხმობს ერთჯერადად გამოცხადებულ, მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსებულ პროექტებზე ფოკუსირებას. ჩვენი ანალიზის დროს, სწორედ ამ ვებგვერდის პოლიტიკით ვიხელმძღვანელებთ.

2714 განცხადებას შორის, 65 (2.4%) ითვალისწინებდა “დამატებით ხარჯს მისაწვდომობისათვის”, რაც ნიშნავს ძირეულ დაფინანსებას დამატებული ის ხარჯი, რომელიც შესაძლებლობაზე წვდომას უჭერს მხარს. როგორც წესი, ამგვარი ნამატი შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებულ დამატებით ხარჯებს ანაზღაურებს, თუმცა ყოფილა შემთხვევები, როდესაც ის შეეხო ფინანსური სირთულეებისა თუ სხვა, მონაწილეობაში შემზღუდველ გარემოებებში მყოფ ინდივიდებს. კონკურსების უმეტესობა ონლაინ ფორმატში ტარდება, განსაკუთრებით კი ეს შეეხებათ პანდემიის შემდეგ, 2022 წლის შემდგომ გამოცხადებულ განაცხადებს. გამონაკლის შემთხვევებში, ონლაინ მონაწილეობის შესაძლებლობა დაკავშირებულია მისაწვდომობის საჭიროებასთანაც (მაგ, შიდა, სახლის რეზიდენციები მათთვის, ვისაც არ შეუძლია მოგზაურობა სხვა ადგილას).

ღია კონკურსები მისაწვდომობის დაფინანსებით უფრო მეტად განკუთვნილია ინდივიდუალური მონაწილეებისათვის და ძალიან იშვიათ შემთხვევაში ორანიზაციების/კოლექტივებისათვის. ასევე ხშირად გვხვდება კროს-დისციპლინური კონკურსები, თუმცა, ყველაზე ფართო სფერო, რომელიც ინდივიდებს მისაწვდომობის დაფინანსებას სთავაზობს, საშემსრულებლო ხელოვნებაა, უფრო კონკრეტულად კი - ცეკვა.

რეგიონული თვალსაზრისით, მისაწვდომობის დაფინანსება კონცენტრირებულია ევროპაში, მათ შორის, ყველაზე ხშირად გვხვდება გაერთიანებული სამეფო (33.8%), გერმანია (23.1%) და დანია (9.2%). ევროკავშირის დაფინანსება ამ შესაძლებლობების შექმნაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. ყველა ამ დაფინანსების 43.1% თანადაფინანსებულია კრეატიული ევროპის ან Horizon პროგრამის მიერ. გარდა ამისა, ისეთი დიდი ფინანსების გამცემი ინსტიტუციები, როგორებიცაა ბრიტანეთის

საბჭო, Pro Helvetia, და პროექტის CROWD უკან მდგარი სხვადასხვა ორგანიზაციები (ინგლისის ხელოვნების საბჭო, გოეთეს ინსტიტუტი, NRW KULTURsekretariat, Nordisk Kulturfond, კრეატიული შოტლანდია). სხვებთან ერთად ხშირად უნივერსიტეტებიც გვევლინებიან ორგანიზატორებად, სავარაუდოდ იმის გამო, რომ მათ უფრო მეტი ინფორმაცია აქვთ მისაწვდომობის საჭიროების შესახებ სტუდენტების დიდ რაოდენობასთან მუშაობიდან გამომდინარე. ძალიან იშვიათად გვხვდება პატარა ორგანიზაციები, ისიც, დიდწილად პროექტზე დაფუძნებულ ინიციატივებში, სადაც მისაწვდომობის ხარჯები საგრანტო შეთანხმებაში არის მოცემული, რაც სავარაუდოდ დამფინანსებლის მიერ იყო მოთხოვნილი ან რეკომენდებული. როგორც ყველა სფეროში, პროექტის დაფინანსება არის როგორც შესაძლებლობა, ასევე გამოწევა სექტორისთვის - ახალ დაფინანსებას შეუძლია უფრო ფართო და მეტი რესურსის შემოთავაზება ინკლუზიური მიდგომისთვის, თუმცა მხოლოდ ლიმიტირებულად. მიმდინარე სისტემები და პროგრამები აჩვენებს რომ ცვლილება გაცილებით რთულია - ფული არ არის ერთადერთი ფაქტორი, რაც ხელს უშლის შშმ პირთა მობილობას.

საჭიროებები და სურვილები

ტერმინი “მისაწვდომობის ხარჯები” საკმაოდ ფართო და ბუნდოვანია, რომელიც საჭიროებების ფართო სპექტრს მოიცავს და შეიძლება განსხვავდებოდეს აპლიკანტებს შორის, როგორც ხარჯების, ასევე შინაარსის მხრივ. ჩვენს მონაცემთა ბაზაში, როგორც წესი, მისაწვდომობის ბიუჯეტს არ გააჩნია ზედა ზღვარი და ინდივიდუალური შემთხვევების ანალიზის მიხედვით ხდება განაწილება.

ზოგადად, არსებობს სურვილების ურთიერთშეთანხმება - ერთია სურვილი, რომ შეინარჩუნო მოქნილი და ღია მიდგომა, თუმცა მეორე მხრივ საჭიროა მკაფიო განსაზღვრა აპლიკანტთან, თუ სად იწყება და სრულდება მხარდამჭერი რესურსები (რაც, როგორც წესი, თავად ორგანიზატორებისთვის ნათელია, იმის მიუხედავად, რომ ღიად ამას არ ამხელენ). ერთ-ერთი პროგრამა, რომელიც ბიუჯეტის ლიმიტს აწესებს, არის მობილობის დაფინანსების სქემა Culture Moves Europe. ის ინდივიდუალურ და რეზიდენციის ფარგლებში სთავაზობს დამატებით დაფინანსებას ხელოვანებსა და კულტურის პროფესიონალებს. ეს მორგებულია ინდივიდუალურ საჭიროებებს, თუმცა გააჩნია ლიმიტი: ძირეული მობილობის გრანტის 100 პროცენტამდე. ფინანსური მხარდაჭერის გარდა, სქემა აპლიკანტს სთავაზობს მოქნილობას: ის აპლიკანტებს სთავაზობს თავად შეადგინონ თავიანთი

მობილობის პროექტი და აირჩიონ მათი საერთაშორისო პარტნიორები, ასევე მოქნილია მგზავრობის თარიღები (მონაწილეებს შეუძლიათ 15 დღით ადრე ჩავიდნენ ან 15 დღით გვიან დატოვონ ქვეყანა მობილობის დასრულების შემდეგ). ეს მისაწვდომობის ძალიან მნიშვნელოვანი განზომილებაა: ის არ ეხება მხოლოდ ფინანსურ მხარდაჭერას, მაგრამ ასევე მოქნილობასა და ადაპტირებულობას. ის არ არის მხოლოდ საჭიროებებზე, არამედ სურვილებზე დაფუძნებული, რაც ბენეფიციარებს საშუალებას აძლევს თავად გადაწყვიტონ თავიანთი განრიგი და მონაწილეობის მოდალობა.

ექსკლუზიური თუ ინკლუზიური

ჩვენს მონაცემებთა ბაზაში შესული ღია კონკურსების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის ის, რომ ხშირად ისინი იწვევენ და წახალისებენ შშმ ხელოვანებს მონაწილეობაზე, თუმცა იშვიათად არის ეს კონკურსები ექსკლუზიურად მათთვის გამიზნული. ასევე, შეზღუდული შესაძლებლობები იშვიათად არის სახელოვნებო/კულტურული პროექტების ფოკუსი (თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც, როგორებიცაა 2020 წლის თებერვალში გამოცხადებული კონკურსი „განსხვავებული სხეულები“, რომელიც PUSH+ პროექტის მიერ ორგანიზებულია.)

ყველასთვის მიცემულ შესაძლებლობებს ის ბენეფიტი აქვს, რომ ხელს უწყობს მრავალფეროვნებას, მაგრამ ეს იმასაც ნიშნავს, რომ შშმ ხელოვანები კონკურენციაში არიან ბევრად უფრო ფართო რაოდენობის აპლიკანტებთან. ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც ამ ტენდენციის საწინააღმდეგოს აჩვენებს, არის 2024 წელს გამოცხადებული კონკურსი Europe Beyond Access, რომელიც ღია იყო ყრუ და/ან შშმ ხელოვანებისთვის, თანამშრომლობითი პროექტი ახალი სახელოვნებო ნამუშევრის შექმნაზე რომელიც ცეკვაზე, ქორეოგრაფიასა და მოძრაობაზე იქნებოდა დაფუძნებული. აპლიკანტებს თავად უნდა განესაზღვრათ თავისი თავი როგორც ყრუ ან შშმ პირი, რომ შეძლებოდათ მონაწილეობა. კონკურსი თვითონ აპლიკაციის პროცესის ადაპტირობის თვალსაზრისითაც განსხვავებული იყო - ხელოვანებს შეეძლოთ აპლიკაციები გაეგზავნათ წერილობით, აუდიო ჩანაწერის სახით ან შესტურ ენაზე ვიდეო ჩანაწერის სახით.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შესაძლებლობები ცოტაა და არასტაბილურია, ისინი მიაჩნებენ იმ სარგებელზე, რაც მოაქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანებისა და პროფესიონალების საჭიროებების საწყის ეტაპზე

გათვალისწინებას – აგრეთვე იმაზე, რომ მნიშვნელოვანია ამ ხელოვანებისა და პროფესიონალების ჩართვა პროგრამების დიზაინში.

გაგრძელება

ხელმისაწვდომობის ხარჯებით უზრუნველყოფაზე საუბრისას არაერთი სასიკეთო ტენდენცია შეგვიძლია დავინახოთ, თუმცა კვალვ არსებითი რჩება განსხვავება კულტურული მობილობის პოლიტიკასა და პრაქტიკულ განხორციელებას შორის. ხშირად ვხვდებით ღია კონკურსებს, რომლებიც აცხადებენ, რომ ღიაა მრავალფეროვანი აპლიკანტებისთვის, მაგრამ არ უზრუნველყოფენ დამატებით რესურსებს ან მოქნილობას, რათა უზრუნველყონ უკეთესი ხელმისაწვდომობა.

კიდევ ერთი პრობლემა, არის დეტალური ინფორმაციის ნაკლებობა რეზიდენციებისა და სხვა მასპინძლობის ადგილების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის შესახებ. როდესაც მსგავსი ინფორმაციაა მიწოდებული, ის ხშირად მიმართულია მისაწვდომობის ნაკლებობის უარყოფაზე, ვიდრე არსებული პირობების დეტალიზებულ აღწერაზე. გამჭვირვალობის ნაკლებობამ შეიძლება შეაშფოთოს პოტენციური აპლიკანტები, რომლებიც საჭიროებენ სპეციფიურ პირობებს სრულყოფილად მონაწილეობისათვის.

მისაწვდომობის ხარჯებისთვის ცალკე ბიუჯეტის გამოყოფა შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯი ხელმისაწვდომობის ხარვეზების აღმოსაფხვრელად – მაგრამ ეს არის გაცილებით უფრო გრძელი გზა, სადაც ინკლუზიურობა მთლიანი სექტორის ერთიან ქსოვილში უნდა იყოს ჩამჯდარი.

შშმ ხელოვანებისა და კულტურის პროფესიონალების გამოწვევები და საჭიროებები

ავტორი: სოფი დოუდენი

ეს ანგარიში შექმნილია On the Move მიერ ორგანიზებული კულტურული მობილობის ვებინარზე მონაწილე პანელისტების მიერ იქნა მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც შშმ ხელოვანებისა და კულტურის პროფესიონალებისათვის საერთაშორისო მობილობას შეეხებოდა. ასევე ამ სფეროში მოღვაწე რვა ექსპერტთან ინტერვიუებზე დაყრდნობით, იმ მიზნით, რომ დავინახოთ სიტუაცია ნაციონალურ, ევროპულ და საერთაშორისო დონეზე უახლეს ინიციატივებზე დაკვირვებით და შევთავაზოთ ცვლილებების ხელის შემწყობი ნაბიჯები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანებისა და კულტურის პროფესიონალების წინაშე არსებული გამოწვევები მრავალფეროვანია და ურთიერთდაკავშირებული. არსებობს პირდაპირი გამოწვევები საერთაშორისო კულტურული მობილობისთვის და ასევე ირიბი გამოწვევები. როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანი ან კულტურის პროფესიონალი მიაღწევს იმ ეტაპს, როდესაც მას აქვს საშუალება მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კულტურული მობილობის პროცესში, ეს ნიშნავს, რომ მან უკვე უნდა გადალახოს მრავალი გამოწვევა პროფესიულ სფეროში შესასვლელად, როდესაც ხელოვნების საგანმანათლებლო დაწესებულებებს ხშირად მკაცრი მიდგომა აქვთ თუ რა განსაზღვრავს ხარისხს. მრავალი გამოწვევა არსებობს ყველა დონეზე – ინტერპერსონალურიდან ეროვნულამდე და საერთაშორისო დონემდე – რომლებიც ერთმანეთთან არის დაკავშირებული. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ დამოკიდებულებები ერთდროულად პიროვნულ, კულტურულ და საერთაშორისო მნიშვნელობას ატარებს.

გარდა ამისა, საერთაშორისო კულტურული მობილობის ბარიერები შესაძლოა უკეთესად იყოს განხილული სხვადასხვა დონეზე. მსოფლიოს მასშტაბით სახელოვნებო სივრცეების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანების და კულტურის პროფესიონალების საერთაშორისო კულტურულ მობილობაში, მაგრამ მისი გადაწყვეტა შესაძლოა იმალებოდეს პოლიტიკაში და დაფინანსებაში ეროვნული ან რეგიონალური მთავრობების მხრიდან. მნიშვნელოვანია აღიარებულ იქნას ყველა გამოწვევის სისტემური და დაკავშირებული ბუნება, რომლის წინაშეც ხვდებიან

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანები და კულტურის პროფესიონალები, რაც გულისხმობს საერთაშორისო კულტურული მობილობისთვის სხვადასხვა პირდაპირი და ირიბი გამოწვევების ფართო დიაპაზონის გაგებას.

ფუნდამენტური გამოწვევა: ცოდნისა და ცნობიერების ნაკლებობა

პირველი და მნიშვნელოვანი გამოწვევა არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანების სპეციფიური საჭიროებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, ამბობს მარია ვლაჩუ, პორტუგალიური ასოციაცია **Acesso Cultura**-ს აღმასრულებელი დირექტორი. ადამიანებმა არ იციან, რას წარმოადგენს ბარიერი ან როგორ შეიძლება მოიძებნოს გადაწყვეტა და ადაპტაციები იმისთვის, რომ შეიქმნას ხელმისაწვდომობის პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანებისთვის, ამბობს ის, და კიდევ უარესი, გარკვეული საკითხების გაუგებრობის შედეგად, ზოგიერთმა შეიძლება მიიჩნიოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანები როგორც რთულები ან განებივრებულები.

მარკ ბრუ არის მოცეკვავე და ქორეოგრაფი და მისი გამოცდილებით, სხვადასხვა ქვეყანაში ხელმისაწვდომობის დონე ძალიან განსხვავებულია. ის მზადაა იმ ადგილებში წასასვლელად, სადაც ხელმისაწვდომობის დონე დაბალია, თუ აშკარაა, რომ მასპინძლები მაქსიმალურად ცდილობენ. თუმცა, ზოგიერთი სიტუაციაში, ის აღნიშნავს, რომ ადამიანები არ ფიქრობენ ან არ სხვამენ კითხვებს და უბრალოდ ელოდებიან, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანი ადაპტირდება მათ გარემოსთან.

“მართალია, ბევრ ადამიანს ჰგონია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები არ მუშაობენ, პირველ რიგში, ან რომ ვერ მოგზაურობენ, არ სურთ მოგზაურობა, რომ ისინი მხოლოდ შინ რჩებიან. ეს არის იმიჯი, რაც ბევრს აქვს.” მარი დენინგჰაუსი, უფროსი პოლიტიკის კოორდინატორი, ევროპის შეზღუდული შესაძლებლობის ფორუმი (ბელგია).

ინფორმაციის ნაკლებობამ შესაძლოა მოქმედების ნაკლებობაც გამოიწვიოს. აირენ ვან ზილანდი, ჰოლანდიის ცეკვის ფესტივალის განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი იხსენებს, რომ **Europe Beyond Access**-ის მეორე გამოშვებისთვის, საფრანგეთში პარტნიორის მოძიებისას მათ ვერ მოახერხეს ამგვარი პარტნიორის პოვნა, რადგან არც ერთი ორგანიზაცია მზად არ იყო გაეგრძელებინა ცვლილებები საკუთარ სტრუქტურაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ჩართვის მიზნით, ან ორგანიზაციები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

ხელოვანებთან მუშაობდნენ, ძალიან პატარა იყო ასეთი პროექტის განხორციელებისთვის.“

ის აღნიშნავს, რომ ეს ასახავს საფრანგეთში, როგორც საჯარო ორგანოების, დაფინანსების, ასევე პარტნიორების დონეზე სიმყიფეს, რაც იწვევს დისბალანსს. მისი გამოცდილებით, ხელოვნებაში შეზღუდული შესაძლებლობის საკითხზე მოქმედება დადებითად აღიქმება, მაგრამ ადმინისტრაციებმა და კულტურულმა ორგანიზაციებმა არ იციან, როგორ შეუძლიათ ამის მხარდაჭერა.

კულტურული ინსტიტუტების სტრატეგიები ასევე აჩვენებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანებისა და კულტურის პროფესიონალების ჩართვის შესახებ ცოდნისა და ცნობიერების ნაკლებობას, ამბობს ტონე პერნილე ღსტერნი, ხელოვნების განათლების პროფესორი ცეკვის სფეროში, ნორვეგიის სამეცნიერო და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში და Danselaboratoriet-ის (ცეკვის ლაბორატორია) დამფუძნებელი. მან ითანამშრომლა პროდიუსერთან და ცეკვის ხელოვანს ელენ ღიენტან ცეკვის ლაბორატორიაში და მას შემდეგ ისინი თანამშრომლობდნენ აკადემიურ კონტექსტებში.

„კვლევის Artist – an accessible profession? ფარგლებში კულტურული ინსტიტუტების გამოკვლევისას, ის აღნიშნავს, იქედან გამომდინარე, თუ როგორ როგორ წერდნენ კულტურული ინსტიტუტები შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ და ჰქონდათ თუ არა მათ მრავალფეროვანი გარემოს შექმნის ამბიციები და ხედვები, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის ჩათვლით, მკაფიოდ აჩვენებდა, რამდენად სისტემური და სტრუქტურულია ბარიერები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანებისათვის.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების და ხელოვანების მიმართ არსებული ცნობიერების ნაკლებობა და შედეგად მიღებული აზროვნება წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას, ამბობს ონ სოკნი, Epic Arts-ის ქვეყნის დირექტორი კამბოჯაში. მისი თქმით, კამბოჯაში შეზღუდული შესაძლებლობის ცნობიერება საკმაოდ დაბალია, რაც არ არის გამოწვეული სურვილის ნაკლებობით, არამედ იმით, რომ განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ძალისხმევა ძალიან შეზღუდულია, საბოლოოდ კი, ამ აზროვნების ცვლილებისთვის გასაწევი ძალისხმევაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანებს აწვებათ ტვირთად.

ლინ ფუ, Arts Access Shanghai-ის დამფუძნებელი, ამბობს, რომ ჩინეთში ზოგადი საზოგადოება არ იცნობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შემსრულებლების ხელოვნებას, რადგან მათ ამის ბევრი ნიმუში არ უნახავთ. მისი თქმით, ზოგიერთ

ადამიანს ასეთი დამოკიდებულება აქვს - ისინი ვერ ხედავენ მიზეზს, რატომ უნდა გადაიხადონ ფული იმის სანახავად, რასაც „არც ისე კარგი“ ხარისხის ნამუშევრად მიიჩნევენ, რაც გავლენას ახდენს შემოსავალზე, რადგან რთულია ბილეთების გაყიდვების გარანტირება.

ზოგიერთ ადამიანს არ სურს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების სცენაზე ნახვა, ადასტურებს მარკ ბრუ. ისინი არ ეძებენ იმ პროდუქციებს რომლებიც რეალობას ასახავენ, აჩვენებენ, რომ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები მსოფლიოში, რომ ისინი ადამიანები არიან, რომლებსაც გააჩნიათ ხმა, გასაზიარებელი ისტორიებიც და უნიკალური პერსპექტივები.

თუმცა, მასშტაბურმა მოვლენებმა, როგორცაა პარალიმპიური თამაშები, შესაძლოა განსხვავება მოიტანოს. პეკინში 2008 წელს, ლინ ფუ იხსენებს იმ დროინდელ შეზღუდული შესაძლებლობის უფლებების შესახებ კამპანიებს და როგორ გახდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები უფრო გამოჩენილები მედია საშუალებებში იმ პერიოდში. მაგალი საბი, მოცეკვავე, მსახიობი და Be Together Académie-ს (ინკლუზიური ხელოვნების სწავლების დაწესებულება) და All Moov-ის (ინკლუზიური ხელოვნების კომპანია) დამფუძნებელი, იმედს გამოთქვამს, რომ პარიზი 2024 წელს დაგეგმილ ღონისძიებას ექნება გავლენა.

“ჩვენ უნდა გამოვიყენოთ პარალიმპიური და ოლიმპიური თამაშები, თუნდაც სპორტზე იყოს საუბარი, მაგრამ უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა... რათა დავუჭიროთ მხარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანების საქმეს. ახლა ან არასდროს, ასე ვიტყოდი. მაქვს შთაბეჭდილება, რომ არსებობს არტისტული ეპოქა, რომელიც არტისტული ინკლუზიის სამსახურშია და რომელიც ცოტათი იცვლება საფრანგეთში. ბოლო ერთი და ნახევარი, ორი წლის განმავლობაში, მგონია, რომ მეტი კონფერენცია და ინიციატივა გაჩნდა. ორი ან სამი თვის განმავლობაში ჩატარებულა მინიმუმ ორი ან სამი მოვლენა, რაც მართლაც იშვიათია საფრანგეთში.” მაგალი საბი, მოცეკვავე, მსახიობი, Be Together Académie-ს და All Moov-ის დამფუძნებელი (საფრანგეთი).

კულტურული ორგანიზაციებს სჭირდებათ მეტი რესურსი ჩადონ ტრენინგებში, რომელიც ცოდნისა და ცნობიერების ნაკლებობის აღმოსაფხვრელად იქნება მიმართული. ამბობს მარია ვლახუ. ლიზეტ რეუტერი, Un-label-ის აღმასრულებელი დირექტორი, ეთანხმება მას და ამბობს, რომ არსებობს ბევრი ინფორმაცია, მაგრამ

ადამიანებმა უნდა იცოდნენ, სად უნდა მოიძიონ იგი და უნდა ჩადონ ინვესტიცია ტრენინგსა და განათლებაში.

„ლიდერებს ნამდვილად აქვთ პასუხისმგებლობა, ამბობს ტონე პერნილე Øსტერნი, მაგრამ თითოეულ დონეზე მომუშავე ადამიანმა უნდა დაიჯეროს, რომ მათ აქვთ გავლენა, იქნება ეს მასწავლებელი თუ ხელოვანი. იგი ხედავს, რომ ცალკეულ ადამიანს ყოველთვის შეუძლია რაიმე გააკეთოს, მნიშვნელოვანია ამის აღიარება და მოქმედება.“

პროფესიაზე ხელმისაწვდომობის გამოწვევები

პროფესიაზე ხელმისაწვდომობის ბარიერები ქმნის სისტემურ პრობლემებს, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანებსა და კულტურის პროფესიონალებს საერთაშორისო პრაქტიკაში ჩართვის შესაძლებლობას ართმევს. დიდი ნაწილი პასუხისმგებლობისა და ცვლილების პოტენციალისა კულტურულ სექტორზე გადის, იქნება ეს ხელოვნების საგანმანათლებლო დაწესებულებები, სასკოლო პროგრამები თუ (საერთაშორისო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხელოვანების ხილვადობა.

ხელოვანად აღიარების შესაძლებლობა

“განათლებასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი ბარიერი, და ეს ბარიერი შეეხება განათლების ნებისმიერ დონეს, იქნება ეს ბავშვების, ახალგაზრდებისა თუ უმაღლესი განათლების შემთხვევები - ეს არის ტრადიციულად დაწესებული და მერე მემკვიდრეობით გადასული ხარისხის კრიტერიუმი, რაც ხელოვნების სფეროში თავისთავად არის დამკვირდებული და შემდგომში უკვე ყველაფერზე ახდენს გავლენას, რაც ამ სფეროში ხდება. ვფიქრობ, ბავშვები უკვე სკოლის ასაკიდან ხვდებიან ამ დამოკიდებულებას და კარგავენ რწმენას, რომ მათ როდესმე შეუძლიათ გახდნენ ხელოვანები. გამოდის, რომ სწორედ მასწავლებლები ართმევს მათ ამ ნდობას, ამ მასწავლებლების უმეტესობას, ცხადია არ აქვს უარყოფითი განზრახვა, უბრალოდ ისინი ვერ აღიქვამენ ამას როგორც შესაძლებლობას.”

თოუნ პენირნილ ოსტერნი, ხელოვნების განათლების პროფესორი, ნორვეგიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, ცეკვის ლაბორატორიის დამფუძნებელი (ნორვეგია).

პირველი ბარიერი, რომლის წინაშეც ახალგაზრდა შშმ ხელოვანი დგას, არის ის, რომ ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ შესაძლებელია არტისტები გახდნენ. ეს აღქმა დიდიწილად დამოკიდებულია იმ ადამიანებზე, რომლებიც მათ ცხოვრებაში არიან, მაგალითად, ოჯახი და მასწავლებლები. ნადინი მაკკენზი, „Unmute Dance Company“-ის არტ დირექტორი სამხრეთ აფრიკაში, აზიარებს თავის გამოცდილებას. ახალგაზრდობაში, ვერასდროს განიხილავდა ცეკვას მის მომავალ პროფესიად, რადგან ის ეტლით მოსარგებლეა. თავიდან ის ეწინააღმდეგებოდა მასწავლებელს და უარს ამბობდა დასწრებოდა ცეკვის გაკვეთილებს, თუმცა ბოლოს, მასწავლებლისთვის რომ ესიამონებინა, წავიდა. ის იხსენებს, თუ რამდენად უცნაური იყო მოძრაობების შესრულება, რადგან მას არასოდეს ჰქონია მსგავსი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია.

ნადინი მაკკენზის თქმით, საზოგადოება ისეა შექმნილი, რომ ის გარკვეულ ადამიანებს გამორიცხავს, და ეს სოციალური ბარიერი ხდება შინაგანი ფსიქოლოგიური ბარიერიც. მას იმედი აქვს, რაც შეიძლება მეტი შესალებლობის შექმნით, მეტი მოსწავლე შეიძლება გახდეს შშმ მოცეკვავე.

„ეს არის ინფრასტრუქტურა, საზოგადოება და მათი შეხედულებები, რადგან შშმ ადამიანები არ ყოფილან პრიორიტეტი საზოგადოებისათვის. მრავალი წლის წინ შშმ ადამიანები დამალული იყვნენ ინსტიტუციებში ან საავადმყოფოებში... და ამიტომაც გადავედი ინგლისში, იქ ბევრად მეტი შშმ ადამიანი და მეტი შშმ არტისტი იყო. იგივე მდგომარეობაა ამერიკაში. როდესაც პირველად წავედი ამერიკაში, გაოგნებული ვიყავი. ვიფიქრე, ამას შეხედეთ, აქ რამდენი შშმ ადამიანია! მე მარტო არ ვარ. მაშინ ავსტრალიაში ძალიან იზოლირებულად ვგრძნობდი თავს, ამიტომ კარგი იყო იმ სხვა როლური მოდელის ნახვა.“ მარკ ბრუ, მოცეკვავე და ქორეოგრაფი (ინგლისი, ავსტრალია).

პროფესიის თავიდან დაწყება

არსებობენ ადამიანები, რომლებიც შშმ პირად გახდომამდე იყვნენ ხელოვანები. მარკ ბრუ არის ეტლით მოსარგებლე კლასიკური ბალეტის მოცეკვავე, რომელიც პროფესიულ კარიერას მისდევდა ავსტრალიაში. 1997 წელს ის ავტოავარიაში მოყვა, რამაც სერიოზული დაზიანება გამოიწვია, რაც მისი სიცოცხლისთვის საშიში იყო. ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შემდეგ, მას უთხრეს, რომ მოუწევდა პროფესიის შეცვლა. მიუხედავად ამისა, იმის გამო, რომ მასში ჯერ კიდევ ძალიან ძლიერი იყო

ცეკვის სურვილი, მიაგნო გზას როგორ ეცეკვა, თუმცა ეს არ ყოფილა მარტივი პროცესი.

1997-1999 წლებში ავსტრალიაში რეაბილიტაციის პერიოდში მარკ ბრუმ აღმოაჩინა, რომ იმ დროს არ არსებობდა არცერთი ცეკვის კომპანია შშმ ადამიანებისთვის. ავტოსატრანსპორტო შემთხვევიდან ორი წლის შემდეგ, ის ცეკვას დაუბრუნდა, ამჯერად ნიუ იორკში, სადაც პროფესიული ზრდისთვის და არსებული ტექნიკების ადაპტირების შესასწავლად და მოსასინჯად გაემგზავრა. მას ამაში დახმარა ცეკვის კომპანიები როგორებიცაა Infinity Dance Theater, AXIS Dance Company, Candoco Dance Company. 26 წლიანი გამოცდილების შემდეგ, მარკი ამბობს, რომ შესაძლებლობები ნამდვილად გაიზარდა ადრინდელთან შედარებით, თუმცა მაინც არსებობს სერიოზული შეზღუდვები.

წვდომა განათლებაზე

ნებისმიერი დონის განათლება სერიოზული ბარიერია. მაგალითად, კამბოჯაში შშმ პირებს განათლებაზე თითქმის არ მიუწვდებათ ხელი. გერმანიაში თითქმის არ არსებობს სახელოვნებო უნივერსიტეტები და საგანმანათლებლო შესაძლებლობა შშმ ადამიანებისთვის. არსებობს ბევრი კერძო ინიციატივა, როგორცაა სამსახიობო სკოლები, სადაც ტრენინგებია ხელმისაწვდომი, მაგრამ სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემა მიუწვდომელია. ბევრი სახელმწიფო და მუნიციპალური თეატრები მხოლოდ პროფესიონალურად მომზადებულ არტისტებთან მუშაობენ, რომლებიც სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემით იღებენ განათლებას. ისინი ამბობენ, რომ სურთ შშმ არტისტების ხილვა თავიანთ ანსამბლში, თუმცა ასეთი არავინაა. საგანმანათლებლო სისტემა ყველგან ყურადღებას საჭიროებს.

მარკ ბრუ აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებმა უნდა იმუშაონ შშმ არტისტების შეფასებასა და დატრენინგებაზე. შშმ ადამიანებს სურთ სხვადასხვა ცეკვის ტექნიკების სწავლა და ეს მხოლოდ ზაფხულის ინტენსივების, პრაქტიკების და ტრენინგების საშუალებით შეუძლიათ.

“განსაკუთრებით ცეკვაში, როცა ამ საგანმანათლებლო პროგრამებს ქმნიან, საერთოდ არ ფიქრობენ შშმ ადამიანებზე, არ სჯერათ, რომ შშმ ადამიანებსაც სურთ სიარული, ამიტომ ეს პროგრამები არ არის მათზე მორგებული. გარდა ამისა, არსებობს ფიზიკური ბარიერები: მაღალი შენობები, სადაც რთულია გადაადგილება.”
ელენ ოიენ, პროდიუსერი, ცეკვის არტისტი, Danselaboratoriet (ნორვეგია)

„განათლების ყველა დონეზე, ინსტიტუტებმა უნდა აიღონ პასუხისმგებლობა შშმ ბავშვებისა და ახალგაზრდების ხელოვნებაში ჩართვის მხარდაჭერაზე.“ ამბობს ტონე პერნილე ღსტერნი. მისი აზრით, ცვლილება შეიძლება დაიწყოს ნებისმიერ დონეზე, მათ შორის შუა რგოლშიც და როდესაც ცვლილება განხორციელდება, პატარა თუ დიდი, იგი დაიწყებს გავრცელებას.

მუშაობის შესაძლებლობა

თუ ვინმე შეეჯახა მისაწვდომობის პრობლემას, მას უბრალოდ აღარ მიიწვევენ ქასთინგებზე, რადგან იქ არსებობს მოლოდინი, რომ უკვე უნდა გქონდეს შთამბეჭდავი CV - ამბობს ტონე პენილლე ოსტერნი. მაშინაც კი, თუ შშმ ხელოვანს მიიწვევენ, ისეთ რთულ დავალებას აძლევენ, რომ წამოუდგენელია მისი შესრულება. თუ ხელოვანს გაუმართლა და მოხვდა საგანამანათლებლო დაწესებულებაში, ძალიან მცირედი დახმარების იმედი უნდა ქონდეს, რომ გააგრძელებს განათლებას.

პროფესიული ქასთინგებს არაერთი პრობლემა გააჩნია. როგორ მიხვალ ქასთინგამდე, და რამდენად მისაწვდომია იქ გარემო? როგორ გაიგებ ქასთინგის შესახებ თუ ფორმალური განათლება არ მიგიღია? როგორ დატრენინგდები იმ სფეროში, სადაც გინდა იყო პროფესიონალი? ძალიან ბევრი დაბრკოლებაა რაც ხელს უშლის პროფესიის დაუფლებას და მის პრაქტიკაში განხორციელებას.

პროფესიასთან დაკავშირებული გამოწვევები

ნამუშევრის შექმნა და წარდგენა

ხშირად შშმ დამიანები ერთ კატეგორიაში ექცევიან, იმის ნაცვლად რომ ხელოვანებისა და კომპანიების უფრო მრავალფეროვანი კვლევა მოხდეს. ლინ ფუ ძალიან აფასებს პარტნიორებს, რომლებისთვისაც შშმ პირთა პერფორმანსებს გააჩნიათ ღირებულება, რადგან ასეთი ბევრი არ არის. ზოგმა შეიძლება მისაწვდომობის პრობლემის გამო უთხრან უარი შშმ ხელოვანს, ემინიათ კრიტიკის. ბევრს გონია, რომ შშმ პირთა პერფორმანსები საკანრავალო წარმოდგენებს გავს და არ გააჩნიათ ხარისხი.

მრავალფეროვნება და ინკლუზია არ უნდა იყოს ერთეულ პროექტებზე დაფუძნებული, არამედ ცვლილება უნდა მოხდეს ყველა მიკრო სიტუაციაზე ამბობს

ტონე პერნილლე ოსტერნი. მისი აზრით თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ვიზრუნოთ ცვლილებებზე - რუტინის, ხარისხის გაგება, როგორ არის შენობები აგებული, როგორ არის ტური თუ სემინარი ორგანიზებული.

მობილობა პრაქტიკაში

ტრანსპორტირება რთული და არაადაპტორებული შეიძლება იყოს შშმ ადამიანისთვის. ამიტომ მნიშვნელოვანია შშმ პირის დაჯავშნა არ მოხდეს ბოლო წუთს, რადგან მგზავრობისთვის მომზადება დროს მოითხოვს. არსებობს ევროკავშირის რეგულაცია, რაც მაგალითად გულისხმობს შშმ ადამიანებისთვის უფასო ასისტირებას აეროპორტებსა და სადგურებში. მატარებლები და სადგურები შეიძლება ინდივიდუალურად იყოს მისაწვდომი, თუმცა ბევრი შშმ პირი პლატფორმამდეც ვერ ახერხებს მოსვლას. აეროპორტებში გრძელი და ხანგრძლივი პროცედურის გავლა უწევთ ეტლთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ონლაინ აგვარებენ ამ საკითხებს, გეითთან მაინც უწევთ შეჩერება და საბოლოოდ გეითთან მდგომმა მომსახურე პერსონალმა უნდა გადაწყვიტოს ისინი შეძლებენ მოგზაურობას თუ ვერა. ამგვარი გამოცდილება ძალიან დისკრიმინაციულია. “უსაფრთხოება” არ არის გამართლებული მიზეზი ამ შემთხვევაში. შესაძლოა აეროპორტის მომსახურე პერსონალმა თქვას, რომ ეტლით მოსარგებლე ვერ შეძლებს ევაკუირებას ამის საჭიროების შემთხვევაში, თუმცა შეუძლებელია ერთი შეხედვით განსაზღვრო რა შეუძლია ადამიანს.

მგზავრობა მარკ ბრუს საქმიანობაში ერთ-ერთ ყველაზე რთული ნაწილია.

„ზოგიერთ სპექტაკლს არ აქვს დამატებითი ხარჯებისთვის ფინანსური საშუალება. რაც შშმ ხელოვანისთვის რთულია, რადგან მას უწევს დადლილმა შეასრულოს თავისი სამუშაო. საფრანგეთში ბევრი პროდუქცია არსებობს, სადაც ვალდებული ვარ მარტო წავიდე და ეს ართულებს შემოქმედებით პროცესს. მე ვარ ადამიანი, რომელიც ამას არ უჩივის, რადგან მინდა ვიყო სხვა არტისტებთან, ამიტომ არსებობს შემთხვევები, როდესაც შოუს ღამეს ვერც კი ვბანაობ, რომ დროულოულად მივუსწრო მატარებელს. და ვფიქრობ, ეს ნამდვილად უსამართლობაა.“

მაგალი საბი, მოცეკვავე, მსახიობი, Be Together Académie და All Moov-ის დამფუძნებელი (საფრანგეთი).

არსებობს სასტუმროებთან დაკავშირებული სირთულეები, როდესაც ხელოვანს სწერენ, რომ ის ადაპტორებულია, თუმცა ყველა ეტლით მოსარგებლეს ერთნაირი საჭიროებები არ გააჩნიათ.

სამუშაო ადგილების მისაწვდომობა

ადგილების ხელმისაწვდომობა გლობალური პრობლემაა. სახელოვნებო სივრცეები კამბოჯაში ხშირად ძალიან მიუწვდომელია, ამბობს ონ სოკნი. მათ ბევრი ინიციატივა აქვთ და მცირე რესურსებითაც აკეთებენ საქმეებს, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი, როდესაც საქმე ხელმისაწვდომობას შეეხება.

კულტურული სივრცეების ხელმისაწვდომობისთვის დაფინანსება საკმაოდ რთულად მოსაპოვებელია. ჩინეთში არ არსებობს ასეთი დაფინანსების წყარო, ამბობს ლინ ფუ, და მიუხედავად იმისა, რომ შშმ პირების ფედერაცია ბევრ სახელმწიფო დაფინანსებას იღებს, ისინი ძირითადად სიღარიბის შემცირებაზე და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ზრუნავენ ამიტომ ხელოვნებას მათთვის ძალიან დაბალი პრიორიტეტი აქვს.

ხშირად ხელმისაწვდომობის საკითხი მხოლოდ აუდიტორიის პერსპექტივიდან არის განხილული და არა არტისტების ან კულტურის პროფესიონალების პერსპექტივიდან.

„როდესაც ადგილების ხელმისაწვდომობას განიხილავენ,“ ამბობს მარია ვლახოუ, „ხშირად ორგანიზატორი მხოლოდ მათი ღონისძიების ძირითად ადგილზე ფიქრობს, არ ანიჭებს ყურადღებას მთლიანი გამოცდილების ხელმისაწვდომობას, როგორცაა სასტუმროები, ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რესტორნები და ასე შემდეგ.“

“სივრცეებისთვის ხელმისაწვდომობა სავალდებულო უნდა იყოს” მბობს მარი დენინგჰაუსი. „ხელმისაწვდომობა ყოველთვის იქნება სიის ბოლო პრიორიტეტი. ამისთვის უნდა იყოს საზოგადოებრივი დაფინანსება ხელმისაწვდომი.“

პოლიტიკის დონეზე, მისაწვდომობის სტანდარტები ხარჯიან შეცდომებს აგვარიდებს. იმ ადამიანებმაც კი, ვისაც საუკეთესო განზრახვები აქვთ, შეიძლება არასწორად დააინსტალირონ მაგალითად, პანდუსი.

თვით-დასაქმება, ანაზღაურება და სარგებელი

ანაზღაურება კამბოჯაში ყველასთვის პრობლემაა, მაგრამ როდესაც შშმ ხელოვანზე მიდგება საქმე, ეს კიდევ უფრო დაბალია - ამბობს ონ სოკნი. ხელოვანების უმეტესონას უწევს სახელმწიფო დამხარების იმედზე იცხოვრონ, რადგან მუდმივი სამუშაოს პოვნა ძალიან რთულია. ეს კი მეორე მხრივ ერთგვარი მახეა, რადგან თუ

სახელმწიფო დახმარებას იღებს, მათ არ შეუძლიათ გარკვეული რაოდენობის თანხაზე მეტის აღება, ან შეუმცირდებათ დახმარება. შშმ პირის სტატუსის გამო, ეს ადამიანები ვერ იღებენ ანაზღაურებას, როგორც ხელოვანები.

დიდი ბრიტანეთი კარგი მაგალითია - აქ ხელოვანებს სახელმწიფო ხელს უწყობს, როგორც დამოუკიდებელ არტისტებს და არა აუცილებლად დაქირავებულებს, თუმცა ეს გამონაკლისი შემთხვევაა.

პრაქტიკების, როლებისა და პასუხისმგებლობების ადაპტირება

რეზიდენციებისა და სპექტაკლების მზადებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს შშმ პირთა სპეციფიური საჭიროებები. შშმ ხელოვანების რეკომენდაციით, სასურველია პროგრამა არ იყოს ძალიან გადატვირთული და ადამიანებს მოდუნებისა და მოსვენების შესაძლებლობა ქონდეთ.

ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანებისთვის თარგმანის პრობლემა დგება მაშინ, თუ თარგმანი და ხელოვანი სხვადასხვა ჟესტურ ენაზე საუბრობენ. შშმ ხელოვანს სჭირდება ძალიან ბევრი ახსნას და განმარტოს მისი საჭიროება, რომ მომზადებული დახვდნენ, თუმცა სასურველია თუ ესეც შეიცვლება, და ორგანიზატორები თავად დაუსვამენ საკუთარ თავს შეკითხვას - ჩვენ რა შეგვიძლია გავაკეთოთ? შშმ პირები არ არიან სივრცის კონსულტანტები და თავისი საქმის კეთების ნაცვლად, უწევთ მისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. კარგი იქნება, თუ მათ ასევე შეეკითხებიან აზრს თუ როგორ შეაფასებენ სივრცეს და მათ გამოცდილებას.

პოლიტიკის ჩარჩო და დაფინანსების გამოწვევები

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებს შორის საზღვრები არ არსებობს ევროკავშირის ტერიტორიაზე, შშმ ადამიანისთვის სხვა ქვეყანაში გადასვლა საცხოვრებლად მაინც სირთულეებთან არის დაკავშირებული. მას უწევს უარი თქვას ერთ ქვეყანაში მის შშმ სტატუსზე, თავიდან დარეგისტრირდეს სხვა ქვეყანაში, სადაც შესაძლოა სახელმწიფო პოლიტიკა წინა ქვეყნისგან განსხვავებული იყოს. ამ რისკის გამო, ბევრი შშმ ადამიანი უარს ამბობს სხვა წევრ ქვეყანაში მოწვევების მიღებაზე. ხანმოკლე ვიზიტების დროსაც კი, მხოლოდ სასწრაფო სამედიცინო დახმარება არის უზრუნველყოფილი.

ადეკვატური დაფინანსება და ბიუჯეტი

ხელოვნების სამკურნალო ძალა საფრანგეთში აღიარებულია, ამიტომ საავადმყოფოებს გააჩნიათ რეგულარული დაფინანსება კულტურული პროექტებისთვის. თუმცა, ჯერ კიდევ პრობლემად რჩება შშმ ადამიანების მიერ შექმნილი ხელოვნების აღქმა - რამდენად პროფესიუნალურად არის ის შესრულებული, და ამიტომ დაფინანსების შესაძლებლობაც საკმაოდ შეზღუდულია.

მაგალითად, სამხრეთ აფრიკის სახელოვნებო ფესტივალისთვის საკმაოდ რთულია საერთაშორისო ხელოვანების მოწვევა, რადგან ჰონორარის ოდენობა ძალიან განსხვავდება ადგილობრივი და ევროპელი მოცეკვავეებისთვის.

მართალია გერმანიის რეგიონებში ინკლუზიური პროექტებისთვის თეატრებს დამატებით 5000 ევრო გადაეცემა, თუმცა ეს არ არის საკმარისი, რადგან ქესტური ენის თარჯიმანის მოწვევაც კი გაცილებით უფრო ხარჯიანია კომპანიისთვის, ვიდრე ეს თანხა.

ასევე გასათვალისწინებელია თუ როგორ არის თანხები გადანაწილებული. უფრო მეტი პროექტი უნდა იყოს გათვალისწინებული თავად შშმ ხელოვანების მიერ რაც არის შესრულებული და არა შშმ ხელოვანებისთვის. შშმ ხელოვნებთან მომუშავე ორგანიზაციებს მისაწვდომობისთვის დამატებითი ხარჯები უნდა გააჩნდეთ.

არსებული ლიტერატურის ანალიზი

ინფორმაცია, ცოდნა და აზროვნების გარდაქმნა

წინა კვლევებმა აჩვენა, რომ არაერთი გაიდლაინის, ინსტრუმენტებისა და რესურსების არსებობის მიუხედავად, სახელოვნებო ორგანიზაციებს, პროგრამერებს და დამფინანსებლებს მაინც მწირი ინფორმაცია გააჩნიათ შშმ ხელოვანების საჭიროებების შესახებ.

ამ სფეროში შესაბამისი ინფორმაციისა და ცოდნის ფლობა სამ ძირითად სფეროს მოიცავს: 1. ტექნიკური ინფორმაცია თუ როგორ უნდა ჩატარდეს პრაქტიკა, როგორც მოეწყოს სივრცე და ღონისძიებები უფრო მისაწვდომი ფიზიკური, სენსორული, კოგნიტური თუ კომუნიკაციის დონეზე. 2. შშმ ხელოვანების მიერ შექმნილი ნამუშევრების შესახებ ცოდნა. მათ შორის, რა შეიძლება გაკეთდეს ტიპური განვითარების მქონე არტისტთან კოლაბორაციით. 3. სტერეოტიპებისა და არასწორი შეხედულებების არსებობა შშმ პირებთან დაკავშირებით და აზროვნების ცვლილების აუცილებლობა სრული მისაწვდომობისა და თანასწორობის მისაღწევად.

სამუშაო ინსტრუმენტები და სხვა პრაქტიკული რესურსები

არაერთ ევროპულ ქვეყანაში, ბოლო ათწლეულის მანძილზე გამოქვეყნდა სახელმძღვანელოები, გაიდლაინები და სხვა დამხმარე რესურსი რათა გაზრდილიყო ხელოვნების სფეროში მისაწვდომობა. პრიორიტეტი ყოველთვის შშმ აუდიტორიას ეძლეოდა და არა ხელოვანს, თუმცა ზოგი მათგანი ამ მიმართულებითაც გვაწვდის ინფორმაციას. თუმცა კვლევებმა აჩვენა, რომ საჭიროა უფრო მეტი ძალისხმევა, რათა ეს რესურსები უფრო მისაწვდომი გახდეს, რადგან ხელოვანები ხშირად აღნიშნავენ, რომ არ გააჩნიათ საკმარისი ცოდნა, როგორ შეიძლება ხელოვნება გახდეს უფრო მისაწვდომი.

ცოდნის მიღების ერთ-ერთი გზაა პირდაპირი კონსულტაციის გავლა შშმ ხელოვანებთან, იმისთვის რომ მათ გააცნონ ორგანიზატორებს თავიანთი საჭიროებების შესახებ. თუმცა შშმ პირის “კონსულტანტის” პოზიციაში ჩაყენებისას, ჩნდება რისკი, რომ მას ნაკლები დრო დარჩეს თავისი სახელოვნებო პრაქტიკისთვის და დროის დიდი ნაწილი სწორედ კონსულტირებას შესწიროს. არსებობს კვლევები, რომელიც აჩვენებს, რომ საკმაოდ გაზრდილია ორგანიზატორების ცოდნა მისაწვდომონასთან დაკავშირებით, თუმცა ყოველთვის გასათვალისწინებელია რამდენად თანხმობაში არის ეს ცოდნა მის პრაქტიკულ განხორციელებასთან.

სტერეოტიპები და აზროვნების ცვლილება

არსებობს ფართოდ გავრცელებული მცდარი წარმოდგენა, რომ შშმ ადამიანების მიერ შექმნილი ხელოვნება ძალიან “ნიშურია” და ეს მხოლოდ თვით-გამორკვევას და თვით-გამოხატვას ემსახურება, შესაბამისად, ის არ არის მიჩნეული პროფესიულ ხელოვნებად, რომელიც შეიძლება გამოიფინოს მთავარ საგამოფენო სივრცეებში, ღონისძიებებზე. სწორედ ამიტომ, აუცილებელია დავიწყოთ შშმ ადამიანების მაღალ-პროფესიულ ხელოვნებად აღქმა, რომლებსაც სფეროში შემოაქვთ ინოვაცია და ტრანსფორმაციული იდეები.

ინკლუზიური მეთოდოლოგიების შექმნა, რომელიც შშმ და ტიპური განვითარების მქონე ხელოვნებს შეახვედრებს, კიდევ ერთი საშუალებაა უფრო ინკლუზიური, მყარი პრაქტიკების დასამკვირდებლად.

შეზღუდული შესაძლებლობის უფრო ღრმად გაგების პროცესი უნდა მიდიოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მდგომარეობებისა და გარემოებების მრავალფეროვნებისადმი კომპლექსური მიდგომით. რაც უფრო ფართო, ინტერსექტორალურ ხედვას გულისხმობს, თუ როგორ შეიძლება გავლენა მოახდინოს შშმ გამოცდილებამ სხვა სახის განსხვავებებზე, როგორცაა ასაკი, რასა, წარმომავლობა, გენდერი, სექსუალური ორიენტაცია.

წვდომა პროფესიაზე

კვლევები აჩვენებს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში უმცირესობის წევრები და არაპრივილეგირებული ჯგუფების წარმომადგენლები ნაკლებად არიან წარმოდგენილი კულტურისა და ხელოვნების სფეროებში. განსაკუთრებული როლი ამ შემთხვევაში უჭირავთ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, პროგრამერებს, კურატორებს, პროდიუსერებს, რომლებსაც ხელეწიფებათ თავიანთი სივრცეები გარდაქმნან უფრო მრავალფეროვან სივრცეებად. კვლევები ასევე აჩვენებს, რომ თეატრისა და ცეკვის მიმართულებით საგანმანათლებლო დაწესებულებები განსაკუთრებით კრიტიკულია შშმ ადამიანებისათვის, რის გამოც მათ ხშირად პროფესიის მიღების ალტერნატიულ გზას უნდა მიმართონ.

ხელშემშლელი ფაქტორების ეს წყება შშმ ადამიანს უბიძგებს, საკუთარი თავი ვერ დაინახოს ამ სფეროში და არ მიიჩნიოს ის შესაძლებლად. “მთავარი ბარიერი, რაც როგორც წესი შშმ ადამიანს ხელს უშლის დაესწროს თეატრის კლასებს, არის

მისაწვდომი თეატრალური ჯგუფები მისაწვდომ ადგილებში და თავდაჯერების ნაკლებობა შშმ პირებში, რომ მათ შეუძლიათ ეს სცადონ.

გავხადოთ სახელოვნებო ორგანიზაციები უფრო მისაწვდომი

პარადიგმისა და პრაქტიკის ცვლილება

საგანმანათლებლო და სატრენინგო ორგანიზაციები მხოლოდ ერთია იმ მრავალრიცხოვან დაწესებულებებს შორის, რომელიც ტრანსფორმაციას საჭიროებს მისაწვდომობისა და ინკლუზიის მიმართულებით. ტრანსფორმაცია უნდა შეეხოს აზროვნებას, პარადიგმებს და პრაქტიკებს ნებისმიერ დონეზე, სწორედ ეს არის იმის წინაპირობა, რომ შშმ ხელოვანი და კულტურის პროფესიონალი სრულად ჩაერთვება სექტორში.

აზროვნებისა და პარადიგმას რაც შეეხება, ბევრი პროფესიონალი საუბრობს ე.წ. სამედიცინო მოდელის უკუგდებაზე შშმ თემებთან მიმართებაში. ეს მოდელი აღწერს თუ რა არ შეუძლიათ შშმ ადამიანებს. ხოლო სოციალური მოდელი ადამიანებს ამღევს მუშაობის საშუალებას, თავდაჯერებას და პრობლემის გადაწყვეტისადმი კრეატიულ მიდგომას. სოციალური მოდელით შეზღუდული შესაძლებლობა არ არის პერსონალური, დამოუკიდებელი მდგომარეობა, არამედ ის კავშირშია იმასთან, თუ როგორც უშლის ხელს საზოგადოება ზოგიერთ ადამიანს სრულ მონაწილეობაში. ამ მოდელით მოქმედებასთან ერთად საჭიროა შეიცვალოს პრეჯუდიცები და/ან დისკრიმინაცია შშმ პირების მიმართ. ცნობიერების გაზრდა შშმ თემების მიმართ, როგორც სახელოვნებო, ისე ფართო საზოგადოებაში, აქტივიზმი, კავშირების გაბმა შშმ ორგანიზაციებსა და პოლიტიკის შექმნელ სტრუქტურებს შორის - ამ ყველაფერმა ბევრ ქვეყანაში საკმაოდ დადებითი შედეგები გამოიღო. ამის მაგალითია კანადა, შვედეთი, ლატვია, შვეიცარია. ანგარიშმა ასევე აჩვენა, რომ საშემსრულებლო ხელოვნების მიმართულებით, სამი განზომილებაა გასათვალისწინებელი: წარდმომადგენლობა (ვინ არის ჩართული?), შინაარსი (რაზეა ნამუშევარი და ის, ვისაც პირდაპირ ეხება, არის თუ არა ღირსეულად წარმოჩენილი) და პროცესი

(როგორ შეიქმნა ნამუშევარი, ვინ იღებს გადაწყვეტილებას, როგორია სამუშაო პირობები?)

როგორ გამოვიწვიოთ ცვლილებები

შშმ პირების კონსულტანტებად ან დაქირავებულ თანამშრომლად ჩართვა საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცვლილებებზე პასუხისმგებლობა არ უნდა შევატოვოთ მხოლოდ ინდივიდებს, არამედ ეს უნდა მოიცავდეს მთლიან ორგანიზაციას, რაც შემდეგ უკვე პოლიტიკისა და ზომების ცვლილებას გამოიწვევს. ორგანიზაციული ცვლილებაც შესაძლებელია სპეციფიური პროგრამების საშუალებით, რომლებიც ტრანსფორმაციისთვის იქმნება.

ორგანიზაციების სრული მისაწვდომობის მოსაღწევად აუცილებელია მისი ფიზიკური, სენსორული, კოგნიტური და კომუნიკაციური მისაწვდომობის უზრუნველყოფა. ჯერ კიდევ პრობლემურია არა-მისაწვდომი კულისები, სცენა, მისაღები, საკომუნიკაციო საშუალებები. მისაწვდომი ტრანსპორტი და საცხოვრებელი შენობები ასევე საკვანძო ფაქტორებია საერთაშორისო მობილობისთვის.

არსებობს ინკლუზიის წარმატებული მაგალითები, რაც შეიძლება შთაგონების წყარო გახდეს ცვლილებებისთვის. მსგავსი მაგალითები აჩვენებს “როგორ შეიძლება ინკლუზიური სამუშაო მიიჩნეოდეს პროფესიონალურად და არა მხოლოდ თერაპიული ან სოციალური სერვისის პერსპექტივიდან. ნება მოგვეცით ჩვენ გადავწყვიტოთ რას მოიცავს შინაარსიანი ინკლუზია, რაც იმ მექანიზმების სწავლით, მოწვევით, გამეორებით, ადაპტირებით ხდება, რაც ამ წარმატებულ კომპანიებს უკვე გააჩნიათ და არაფრის თავიდან გამოგონება არ არის საჭირო.”

ზოგიერთ ქვეყანაში მცირე ზომის ორგანიზაციები წარმართავენ ზუსტად ცვლილებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შშმ ადამიანებისთვის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაძლებლობებს, რაც ძალიან კარგია, თუმცა სრული ინკლუზია ამით ვერ მიიღწევა. თუმცა დიდ სახელოვნებო ორგანიზაციებს ბევრი არაფერი უკეთებიათ ინკლუზიის წასახალისებლად, ხშირად პირიქითაც კი.

შეჯამებისთვის ვიტყვით, რომ ცოდნის გაზიარება, შშმ ხელოვანებისა და კულტურის პროფესიონალების ჩართვა, მისაწვდომობის ზომების სრული სპექტრის ინტეგრირება და წარმატებული ორგანიზაციებისგან ინსპირაციის მიღება კრიტიკული ნაბიჯებია ორგანიზაციების ტრანსფორმირებისთვის. ეს შეიძლება იყოს

ხანგრძლივი პროცესი, თუმცა მხოლოდ მას შეუძლია წაგვიყვანოს ღრმა, სტრუქტურულ ცვლილებამდე.

ეს ასევე უნდა იყოს კურატორული პრაქტიკიდან და არჩევანიდან განხორციელებული პროცესი. დიანა ნიფსი, მოცეკვავე და ქორეოგრაფი აღნიშნავს: “ მე მჯერა, რომ ინსტიტუციებს სჭირდებად კურატორული მხარდაჭერა რომ გაიგონ თავიანთი არჩევანის სისწორე: ეს ნამუშევარი თანაგრძნობითა და პატერნალური მიდგომით არის თუ არა შესრულებული. არ არის საკმარისი სამუშაოს დაპროგრამება არტისტებით, რომლებსაც უნდათ მარგინალური სხეულების ჩართვა. ძალიან საშიშია ისეთი თემების ჩართვა, რომლებიც წლები იყვნენ მარგინალიზებული. მე მჯერა, რომ ტრეინინგისა და პერფორმანსის კრიტიკული ანალიზის როლი ფუნდამენტური იქნება თანამედროვე ცეკვის ლანდშაფტის ცვლილებაში.”

საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობები

როგორც ადრე აღინიშნა, შშმ არტისტებისა და კულტურის პროფესიონალების საერთაშორისო მობილობის პრაქტიკა და შესაძლებლობები მჭიდროდ დაკავშირებულია მრავალ საკითხთან, რომლებიც ჩვეულებრივ ქვეყნის ან ადგილობრივ დონეზე მოქმედებს. ეს საკითხები უკვე განვიხილეთ წინა ნაწილებში ან შემდეგ იქნება განხილული: ინფორმაცია და ცოდნის ხელმისაწვდომობა, აზროვნების ტრანსფორმაცია, ინკლუზიისა და ხელმისაწვდომობის სრული ინტეგრაცია ორგანიზაციებში, სენსიტიურობა შშმ პირების მიმართ საზოგადოებრივ პოლიტიკასა და დაფინანსებაში და ა.შ. ამავე დროს, ამ სფეროში საერთაშორისო მობილობა სპეციფიურ შედეგებსა და გამოწვევებს მოაქვს, რაც აქ იქნება განხილული.

შშმ ხელოვანებისა და კულტურის მუშაკების საერთაშორისო მობილობის კონტექსტი

ტრადიციულად, შშმ ხელოვანებისა და კულტურის წარმომდგენლებისათვის საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობა შეზღუდულია. ამას მრავალი მიზეზი აქვს: ადგილობრივ და ეროვნულ დონეებზე არსებული გამოწვევები, საერთაშორისო მოგზაურობის ხარჯები, რომლებიც ხშირად შშმ ადამიანების შემთხვევაში უფრო მაღალია, ეს ნიშნავს, რომ დამატებითი პირების ჩართვის საჭიროება შეიძლება დადგეს, რაც ზრდის მოგზაურობის ხარჯებს.

გარდა ამისა, საკანონმდებლო სიხისტე, აღიაროს და ცნოს შშმ ხელოვანების განსაკუთრებული გარემოებები, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ უფლება მიიღონ დახმარება და ამავე დროს, იყვნენ აღიარებული როგორც ხელოვანები, ხშირად ხდება შშმ ხელოვანების პროფესიული ზრდის ბარიერი.

ამ ყველაფრის მიუხედავად, მობილობის წვლილი შშმ პირებისთვის შესაძლებლობების გაფართოებაში, ძალიან დიდია. პირველ რიგში, საზღვრებს შორის მობილობა ქმნის შთაგონებას და შესაძლებლობას გაიგოს სხვადასხვა ქვეყნებში შშმ თემთან დაკავშირებული მდგომარეობა, რაც შესაძლოა ადგილობრივ კონტექსტში ცვლილების წახალისებაში დაგეხმაროთ. გარდა ამისა, ეს არის ურთიერთ გამდიდრების, შემოქმედების და კო-პროდუქციის შესაძლებლობა შშმ ხელოვანებსა და კომპანიებისთვის.

საერთაშორისო მობილობა ბოლო წლებში გაიზარდა ქსელებისა და ორგანიზაციების აქტიური ჩართულობის გამოც. ასევე რამდენიმე ევროკავშირის დაფინანსებული პროექტების არსებობით, რომლებიც ხელს უწყობენ გაცვლას, სწავლას და ადვოკატირებას და ამ გზით ხელოვნებისა და შშმ საკითხების ევროკავშირის, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებების დღის წესრიგში დაყენებას.

კანონმდებლობა, პრაქტიკა და შესაძლებლობები შშმ არტისტებისთვის ქვეყნებს შორის ძალიან არათანაბარია, ამიტომ საერთაშორისო მობილობა ზოგისთვის შეიძლება იყოს ერთადერთი გზა სწავლის ან სამუშაოზე ხელმისაწვდომობის და არა მხოლოდ თავისუფალი არჩევანი. ამასთან დაკავშირებით არსებობს რისკი, რომ საერთაშორისო მობილობა თავიდან წარმოშობს კოლონიულურ ჩარჩოს, რომელიც აძლიერებს მცირე ჰაბებს და სხვებს უზღუდავს ამგვარი გაცვლის შესაძლებლობებს.

ეს ხდის ევროპის მასშტაბით რეგიონულ დისბალანსს. არსებობს ხელოვანების თუ კომპანიების მცირე ჯგუფი, რომლებიც ხშირად მიიჩნევიან შშმ ხელოვნების წარმომადგენლებად და ხშირად არიან მიწვეული სხვადასხვა ღონისძიებებზე. ამით თითქოს ორგანიზატორები თვლიან, რომ მათი პროგრამის ინკლუზიური ნაწილი შესრულებულია, მაშინ, როდესაც ეროვნულ დონეზე, შშმ ხელოვანები სერიოზულ დეფიციტს განიცდიან შესაძლებლობების.

პოლიტიკა და დაფინანსება

ზემოთ რამდენჯერმე ვახსენეთ პოლიტიკებისა და დაფინანსების ცენტრალური როლი, მათი გავლენა ინფორმაციისა და ცოდნის ხელმისაწვდომობაზე, განათლებისა და ტრენინგის ხელმისაწვდომობაზე, ორგანიზაციების ტრანსფორმაციაზე ან საერთაშორისო ჩართულობის შესაძლებლობებზე. ეს ნაწილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პოლიტიკასთან, მხარდასაჭერ პროგრამებთან და სხვა დაფინანსების სქემებთან დაკავშირებულ გადაკვეთის ელემენტებს, რომლებიც მიზნად ისახავს შშმ არტისტებისა და კულტურის პროფესიონალების შესაძლებლობების გაფართოებას.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ვახსენოთ რომ ამჟამად 191 ქვეყანას და რეგიონულ ორგანიზაციას (განსაკუთრებით ევროკავშირში) მიღებული აქვს CRPD დოკუმენტი, რომელიც ადგენს ვალდებულებას შშმ პირების უფლებების მიმართ, რაშიც იგულისხმება არსებული დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად ზომების მიღება, ისეთ სფეროებში როგორცაა კულტურა, მონაწილეობა, ხელმისაწვდომობა, მობილობა და

განათლება. ევროკომისია ასევე მოუწოდებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, რომ ხელი შეუწყონ და დააკავშირონ კულტურა და კრეატიული საქმიანობა, ასევე ხელოვნება შშმ პირებისთვის, და აამაღლონ ცნობიერება ამ სფეროში. გარდა ამისა, ხაზგასმითაა აღნიშნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის ადაპტაციის საჭიროება, გადაწყვეტილების მიმღებებს შორის ცნობიერების ამაღლება და კულტურის, შრომის, სოციალური კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის საკითხებზე პოლიტიკის დეპარტამენტებს შორის დიალოგის წახალისება.

გარდა ამისა, ბოლო წლებში შეგროვილი მტკიცებულებებით ჩანს, რომ ხელმისაწვდომობისა და პროფესიული მონაწილეობის მიმართულებით პროგრესი უფრო სწრაფად და ღრმად მიმდინარეობს, როდესაც იგი პოლიტიკურ პრიორიტეტებსა და შესაბამის რესურსებს ემყარება. ამ თვალსაზრისით, მხარდაჭერის მექანიზმების კომბინაცია, ცვლილებების სტიმულირება და, თუ ეს საჭიროა, შეთანხმებით დაფინანსება შეიძლება წახალისდეს. „განსაკუთრებით, საზოგადოებრივ ადგილებსა და ღონისძიებებს, ასევე რეგულარულად დაფინანსებულ ორგანიზაციებს უნდა მოეთხოვოთ მოქმედება. საერთაშორისო მობილობის სქემაში უნდა იყოს გათვალისწინებული დამატებითი დაფინანსება ხელმისაწვდომობის ხარჯების დასაფარად. „Culture Moves Europe“-მა საკმაოდ კარგად განახორციელა ეს ასპექტი. ამ ყველა სფეროში უნდა იყოს ხელმისაწვდომი შესაბამისი ტრენინგი და საინფორმაციო მომსახურება, რათა ორგანიზაციებს დახმარება გაუწიონ მათი ხელმისაწვდომობისა და მხარდაჭერის გაზრდის პროცესში.

ბოლოს, შშმ ადამიანების კონსულტაცია და აქტიური ჩართულობა პოლიტიკისა და პროგრამების დიზაინის შექმნაში, განხორციელებაში და შეფასებაში კრიტიკული ნაბიჯია, რათა დახმარების მექანიზმები ადაპტირდეს, ლეგიტიმურობა გაიზარდოს და შიდა ცვლილებებს შეეწყოს ხელი. ასეთი მონაწილეობის მექანიზმები უნდა იყოს მუდმივი და არა დროებითი, რაც ხელს შეუწყობს როგორც მუდმივ რეფლექსიას, ასევე ორგანიზაციული ტრანსფორმაციის პროცესს, მათ შორის ცოდნის და ინფორმაციის უფრო ფართოდ გავრცელებას და ინტეგრაციას.

პოლიტიკის რეკომენდაციები

საერთაშორისო და ევროპულმა ინსტიტუციებმა, ნაციონალურმა და ეროვნულმა მთავრობებმა, ასევე დამფინანსებლებმა, უნდა:

- გაზარდონ თავიანთი ვალდებულება შშმ ადამიანების სრულ ხელმისაწვდომობასა და მონაწილეობაზე კულტურულ ცხოვრებაში.
- მოაგროვონ არსებული ინფორმაცია და/ან შექმნან და გაავრცელონ საინფორმაციო ინსტრუმენტები და დაკავშირებული მომსახურებები, რათა შეუწყონ ხელი ცნობიერების ამაღლებას და ცოდნის გაზიარებას ხელოვნების, კულტურისა და შეზღუდული შესაძლებლობების გადაკვეთის შესახებ, რაც მოიცავს შშმ არტისტებისა და კულტურის პროფესიონალების მონაწილეობას და ინტერსექციური მიდგომის მიღებას.
- უზრუნველყონ თანაბარი შესაძლებლობები სახელოვნებო განათლებასა და ტრენინგებში შშმ ადამიანებისათვის, მათ შორის, საფუძვლიანი, მაღალხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა.
- მოერიდეთ ე.წ. უნარისტულ მიდგომებს სახელოვნებო განათლებაში და ხელი შეუწყვეთ, წახალისეთ შშმ ხელოვნები, შექმენით როლური მოდელი ახალგაზრდებისთვის.
- შეასწორეთ კანონმდებლობა და პროგრამები, რომლებიც ზღუდავენ შშმ არტისტებისა და კულტურის პროფესიონალების მონაწილეობას, რადგან მათი სპეციფიური საჭიროებები ადეკვატურად არ არის გათვალისწინებული (მაგ. სოციალური ან ჯანმრთელობის სერვისების მიღებაში), მათ შორის იმ შემთხვევებში, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ეროვნულ ან უცხოელ შშმ არტისტებსა და კულტურის პროფესიონალებს საერთაშორისო მოხილობაში მონაწილეობაში.
- შეუწყეთ ხელი მრავალფეროვანი გამოხატვის ფორმების აღიარებას, როგორც კულტურული პოლიტიკის ღირებულებას, რამაც სცენაზე, გალერეებში და მუზეუმებში, ასევე სხვა ტიპის კულტურულ სივრცეებსა და ღონისძიებებში ხელი უნდა შეუწყოს მრავალფეროვნების გამოვლენას.
- გამოხატეთ მხარდაჭერა, დაფინანსების, ტრენინგის, ინფორმაციის, რჩევისა და/ან სხვა მექანიზმების სახით, რათა შეუწყოს ხელი ხელოვნებისა და კულტურის ორგანიზაციების ტრანსფორმაციას, მათ შორის საჯარო ორგანიზაციებისა და რეგულარული საჯარო დაფინანსების მიმღები

ორგანიზაციების, რათა გახდნენ უფრო ხელმისაწვდომი, ინკლუზიური და მრავალფეროვანი.

- მოიძიეთ საერთაშორისო წარმატებული პრაქტიკები და გამოიყენეთ ისინი კულტურული პოლიტიკისა და პროგრამების დიზაინის შესაქმნელად.
- გაითვალისწინეთ შშმ არტისტებისა და კულტურის პროფესიონალების სპეციფიური საჭიროებები საერთაშორისო მობილობის სქემების დიზაინსა და განხორციელებაში, ხელმისაწვდომი კომუნიკაციისა და სპეციალურად გამოყოფილი დაფინანსების ხაზების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს დამატებით რესურსებს ხელმისაწვდომობისა და მასთან დაკავშირებული საჭიროებების დასაფარად.
- გაიარეთ კონსულტაციები შშმ არტისტებსა და კულტურის პროფესიონალებისგან პოლიტიკისა და პროგრამების დიზაინის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში, რომლებიც დაკავშირებულია ხელმისაწვდომობასა და ინკლუზიასთან, შექმენით მუდმივი მონაწილეობის სივრცეები, და დაწარმოეთ, რომ მიღებული ინფორმაცია ეფექტურად იქნება გამოყენებული გადაწყვეტილების მიღებაში.“

სამოქალაქო ორგანიზაციები, ქსელები და სხვა უწყებები რომლებიც მუშაობენ ხელოვნების, კულტურისა და შშმ თემებზე:

- შეუფასეთ მათი პრაქტიკა ხელმისაწვდომობის, ინკლუზიის და მონაწილეობისთვის შშმ არტისტებისა და კულტურის პროფესიონალების მიმართ, გამოიყენეთ ამ სფეროში არსებული ინფორმაცია და ცოდნა და განსაზღვრეთ პრიორიტეტული ღონისძიებები როგორც შედეგი.
- გამოიკვლიეთ საერთაშორისო ჩართულობის შესაძლებლობები ხელოვნებას, კულტურასა და შშმ თემებთან დაკავშირებულ სფეროებში, რათა შეიქმნას შშმ არტისტებისა და კულტურის პროფესიონალებისთვის შესაძლებლობები თავიანთი მოქმედების სფეროებში.
- შეხვდეთ ან დაიწყეთ ადვოკატირების და ცნობიერების ამაღლების საქმიანობა ადგილობრივ, ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე, რათა ხელი შეუწყოს შშმ არტისტებისა და კულტურის პროფესიონალების შესაძლებლობების ზრდას და მრავალფეროვნებას ხელოვნებასა და კულტურაში.
- მიიღეთ ზომები, რათა დაწარმოეთ, რომ საინფორმაციო ინსტრუმენტები, ტრენინგის მომსახურებები და სხვა საქმიანობები, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო მობილობასთან, სრულად ხელმისაწვდომია შშმ არტისტებისა და კულტურის პროფესიონალებისათვის.

- მიიღეთ სხვა ზომები, რომლებიც დაკავშირებულია ხელოვნებას, კულტურასა და შეზღუდულ შესაძლებლობებთან და რაც შეიძლება რელევანტური იყოს მათ საქმიანობასთან.